

## ვაჟა შენგელია

### პირთა ჩერქეზული სახელების ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. I. ხმოვნები

ჩერქეზული (ადიღური და ყაბარდოული) ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველურ ენათა ჯგუფიც (ქართული, მეგრულ-ლაზური, სვანური) აღნიშნული ოჯახის წევრია და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებთან მრავალი სტრუქტურული თავისებურება აერთიანებს, არაერთ განსხვავებულ თავისებასაც ავლენს. ბუნებრივია, როდესაც საქმე ჩერქეზულ ენათაგან ქართულში ანთროპონიმთა, კერძოდ, პირთა სახელების ტრანსლიტერაციას ეხება, მხედველობაში უნდა მივიღოთ უ. ყ. ენათა ფონეტიკური სისტემების თავისებურებები.

ხმოვანთა მარტივი და თანხმოვანთა რთული სისტემა იბერიულ-კავკასიური ენების, მათ შორის – ქართველურ და ჩერქეზულ ენათა საერთო დამახასიათებელი ნიშანია [ჩიქობავა 1979: 42, 52], მაგრამ ქართველურ ენებზე უფრო მკვეთრად ეს თავისებურება ჩერქეზულ ენებში ვლინდება: თუ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ხუთი ხმოვანი და 28 თანხმოვანი ფონემა გამოიყოფა, ადიღურ და ყაბარდოულ სალიტერატურო ენებში სამი მარტივი ხმოვანი და ქართულზე გაცილებით მეტი თანხმოვანია გამოყოფილი: ადიღურში – 53-55, ყაბარდოულში – 46 [როგავა, კერაშვეა 1966: თანხმოვანთა ტაბულა; კუმახოვი 1981: 113, 121].

როდესაც ხმოვანთა ტრანსლიტერაციის საკითხებს განვიხილავთ, გასათვალისწინებელია, რომ ქართული ხმოვნები ერთმანეთს წარმოების ადგილით, აწეულობითა და ლაბიალურობა-არალაბიალურობით უპირისპირდებიან [ახვლედიანი 1949: 71-72, უთურგაიძე 1976: 5]; ჩერქეზული ხმოვანი-ფონემებისათვის კი რელევანტურია მხოლოდ ღიაობის ნიშანი, მათი ფონეტიკური რეალიზაცია კი პოზიციაზეა დამოკიდებული. ა (ჩერქ. ანბანებში **а**) ყველაზე ღია ხმოვანია, გ (ჩერქ. **г**) – ყველაზე ვიწრო, ჟ (ჩერქ. **ж**) – საშუალო ღიაობისა. ორი უკანასკნელი ხმოვნის რეალიზაცია მათ წინა პოზიციამში

წარმოდგენილი თანხმოვნების შესაბამისია [ტრუბეცკოი 1960: 108], მაგრამ ეს არ ეხება ა (a) ხმოვანს, რომელიც, სხვა ხმოვნებისაგან განსხვავებით, თანხმოვანთა შორის (ინტერკონსონანტურ) პოზიციასთან ერთად, სიტყვის თავკიდურ პოზიციაშიც გვხვდება და იგი ბუნებრივია ქართულში ორთავე პოზიციაში ა-თი გადმოიცეს:

**ა (ა) თავკიდურ პოზიციაში**

**ჩერქეზული**

Айтач

Алый

Амцы

Абэху

Айшэт

Абихан

Анзаур

**ქართული**

აითაჩ-ი

ალი

ამცი

აბეხუ-ი

აიშათ-ი

აბიხან-ი

ანზაურ-ი და სხვ.

**ა (ა) ინტერკონსონანტურ პოზიციაში**

**ჩერქეზული**

Багъ

Барг

Дадэ

Лад

Гуагуэ

Куако

Ламэ

**ქართული**

ბაღ-ი

ბართ-ი

დადა

ლად-ი

გვაგვა

ქვაქვო

ლამა და სხვ.

რაც შეეხება ბოლოკიდურ პოზიციას, აქ **ა (ა)** არც აპელატივებში გვხვდება და არც ანთროპონიმებში (ა მხოლოდ ზმნის ბოლოკიდურში შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც სუფიქსური ელემენტი). ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა **ჟ (ჟ)** და **ჩ (ჩ)** ფონემების შემთხვევაში. ეს ხმოვნები გვხვდება მხოლოდ თანხმოვნებს შორის ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში. მათი შესატყვისი ხმოვნები ქართულ სალიტერატურო ენაში არ მოგვეპოვება, ამიტომ ქართულში ადაპტაცია უნდა მოხდეს მათი ფონეტიკური რეალიზაციის შესაბა-

მისად, იმის მიხედვით, თუ აღნიშნული ხმოვნის გამოთქმა ქართულის რომელი ხმოვნის გამოთქმის მსგავსია. ამ შემთხვევაში უნდა დავემყაროთ ნ. ტრუბეცკოის თვალსაზრისს, რომელიც ჯ-სა და გ-ს ფონეტიკურ რეალიზაციაზე მისაღებ თვალსაზრისს წარმოგვიდგენს [ტრუბეცკოი 1960: 108].

ჰ (ჰ) ლაბიალიზებული თანხმოვნების მომდევნო პროზიციაში და სხვა თანხმოვნის წინ (ე. ი. ინტერკონსონანტურ პროზიციაში) რეალიზდება როგორც **ფ**, შესაბამისად, პირთა სახელებშიც ის **ფ**-ით უნდა გადმოიცეს:

**ჩერქეზული**

Гуэрэныж

Гуэгуэж

Куэз

Куэшэгъу

КIуэракIуэ

Шъуэмахуэ

Хуэт

**ქართული**

გორენიჟ-ი

გოგოჟ-ი

ქოზ-ი

ქოშედვ-ი

კორაკო

შომახვა

ხოთ-ი და სხვ.

არალაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ ჰ (ჰ) ქართულად, როგორც წესი, უნდა გადმოიცეს **ჟ**-ს სახით:

**ჩერქეზული**

Бэху

Тэтам

Мэт

Сэт

Бэчыр

Лъэпщ

Чэлэ

**ქართული**

ბეხვ-ი

თეთამ-ი

მეთ-ი

სეთ-ი

ბეჩირ-ი

თლეფშ-ი

ჩელა და სხვ.

განსხვავებულია ჰ (ჰ) ხმოვნის რეალიზაცია არალაბიალიზებული ლარინგალური თანხმოვნის შემდეგ – აქ ის, ჩერქეზულ მეტყველებაში გამოითქმის როგორც **ჰ** და ქართულშიც შესაბამისად გადმოიცემა:

**ჩერქეზული**

Хьэзрэт  
 Хьэкъар  
 Хьэзаз  
 Хьэкуцэ  
 Хьэнифэ  
 Iэбил  
 Iэмин  
 Iэпщაცэ  
 Iэбу  
 Iэნэху

**ქართული**

ჰაზრეთ-ი  
 ჰახარ-ი  
 ჰაზაზ-ი  
 ჰაქუცა  
 ჰანიფა  
 ყაბილ-ი  
 ყამინ-ი  
 ყაფშაცა  
 ყაბუ  
 ყაბეხვ-ი და სხვ.

აბსოლუტურ ბოლოში არალაბიალიზებული თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ჟ** (ჟ) უნდა გადმოიცეს როგორც **ა**:

**ჩერქეზული**

Борэ  
 Лащэ  
 Бубэ  
 ХьуатIэ  
 Дадэ  
 Емзэ  
 Гуащэ  
 Дьщэ

**ქართული**

ბორა  
 ლაშა  
 ბუბა  
 ხვატა  
 დადა  
 იამზა  
 გვაშა  
 დიშა და სხვ.

ხმოვანი **ყ** (ყ) ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ უნდა გადმოიცეს როგორც **უ**:

**ჩერქეზული**

Гузэ (Гуызэ)  
 ГьукIэ (ГьуыкIэ)  
 Кужэ (Куыжэ)  
 Куцэ (Куыцэ)  
 Нуцэ (Нуыцэ)  
 Дзу (Дзуы)  
 Цуцэ (Цуыцэ)

**ქართული**

გუზა  
 ღუჭა  
 ქუჟა  
 ქუცა  
 ნუცა  
 ძუ  
 ცუცა და სხვ.

სხვა პოზიციებში ჩერქეზულ **ы** (ა)-ს ადგილას ქართულში ადაპტაციით **ი** უნდა გვქონდეს:

<b>ჩერქეზული</b>	<b>ქართული</b>
Былэ	ბილა
Быбэ	ბიბა
Джыбэ	ჯიბა
Лыхуэ	ლიხვა
Лымахуэ	ტილიმახვა
Мыгъ	მილ-ი
Нысэ	ნისა და სხვ.

ანალიზისას ჩვენ მასალად გამოვიყენეთ ჯ. კოკოვის წიგნში წარმოდგენილი პირთა სახელების ლექსიკონი [კოკოვი 1973: 105-158]. განხილულ სახელთაგან ერთი ნაწილი წარმოშობით ჩერქეზულია, მეორე ნაწილი – სხვადასხვა ენათაგან ნასესხები; ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ადაპტირებულია ჩერქეზულ ენებში მათი ფონოტაქტიკის შესაბამისად, ამიტომ ამ ეტაპზე საკვლევი საკითხისათვის საკუთარისა და ნასესხების გარჩევა არ არის აუცილებელი.

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისი ჩერქეზულ ენათა ხმოვნების ქართულად გადმოცემის თაობაზე წინასწარ მოსაზრებად მიგვაჩნია, რაც შეიძლება შემდგომ დაზუსტდეს, განსაკუთრებით – ჩერქეზული დიფთონგებისა და თანხმოვნების ადაპტაციის საკითხის განხილვის შემდეგ.

## **ლიტერატურა**

**ახვლედიანი 1949** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

**კოკოვი 1973** – Дж. Н. Коков, Вопросы адыгской (черкесской) антропонимии, Нальчик.

**კუმახოვი 1981** – М. А. Кумахов, Сравнительно-историческая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва.

**როგავა, კერაშევა 1965** – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

**ტრუბეცკოი 1960** – Н. С. Трубецкой, Основы фонологии, Москва.

**უთურგაიძე 1976** – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი.

**ჩიქობავა 1979** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

## **Vazha Shengelia**

### **Transliteration of Circassian Personal names in Georgian.**

#### **I. Vowels**

#### Summary

Georgian literary language vowel system consists of five vowels, Circassian languages – of three ones. Besides a vowel, which should be transferred unchangeable in Georgian, when other Circassian vowels -ă and ə are transferred in Georgian, the sound environment in which they occur should be taken into account. In particular, after labialized consonants, ă should be transferred in Georgian as o, ə – as u; after non-labialized consonant, ă correspondence to e and ə – to i in Georgian. After thenon-labialized laryngeal consonants a Circassian ă correspondences to Georgian a.